პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (5152)

1974 წ. 22 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ლელო" საგუშაგო

## ბაკურიანიდან საგანგაშო სიგნალი მოვიდა

## წამოწყებას მხარდაჭერა უნდა როცა თოვლი გადნა

შარშან სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის ბაკურიანის სპორტული ბაზების მშენებლობის შესახებ გამოქვეყნებულ ჩვენი საგუშაგოს ერთ-ერთ მასალაში ნათქვამი იყო: მშენებლებს იმედი აქვთ, რომ მათი მუშაობის ნაკლოვანებებს ყინვა და თოვლი დაფარავს და შეჯიბრებებიც ნორმალურად ჩაივლისო.

მართლაც ასე მოხდა. ყინვამ ნიადაგი გაამაგრა, თოვლმა ყველაფერი თეთრ სამოსელში გახვია, სპარტაკიადა ჩატარდა და ყველამ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ მერე გაზაფხულდა, თოვლი გადნა, ყინვამაც უკან დაიხია და სამშენებლო ობიექტებზე არსებული ყველა ხარვეზი მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა.

მართალია, მარტის დამლევიდან სასპარტაკიადო ბრძოლების ციკლი მინელდა, მაგრამ ბაკურიანისადმი ინტერესი არ შენელებულა. დაწყებული საქმის ისე მიტოვებას, როგორც ბაკურიანის ობიექტები მიატოვეს საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ, არავის აპატიებენ.

ეს მშენებლებმაც იცოდნენ. ვალი საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტსაც დარჩა, რომელიც ტრამპლინებს აგებდა, ამ სამინისტროს № 21 მოძრავ მექანიზებულ კოლონასაც, რომელსაც ციხისჯვარ — ანდეზიტ — ბაკურიანის წყალსადენი საექსპლოატაციოდ სპარტაკიადის გახსნამდე უნდა გადაეცა, საქართველოს სპორტკომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოსაც, რომელმაც საციგაო ტრასის, გარაჟის (ბაზა-პანსიონატთან), კოხტაგორაზე სამაშველო სამსახურის ქოხებისა და სხვა ობიექტების აგება ივალდებულა, „საქკომუნრემმშენსაც", რომელსაც სასტუმროს გაფართოება და კეთილმოწყობა მიანდეს და სხვებსაც...

ჩვენს რესპუბლიკაში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში ზამთრის სპორტის განვითარებაში ბაკურიანის როლი სულ უფრო იზრდება. გაისად სწორედ აქ ჩატარდება საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადა, რომელმაც პროფკავშირთა ზამთრის VIII საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრების წევრებიც უნდა შეარჩიოს. ბაკურიანს კვლავ ეწვევიან სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების გუნდები, ისევ ახმაურდება მოციგავეთა, მორბენალთა და სამთომოთხილამურეთა ტრასები, ტრამპლინები, სამუშაოები კი ჯერაც არ განახლებულა.

ივნისი იწურება, მაგრამ მიტარბი —კოხტაგორა მეორის საბაგირო გზაზე, სპორტსმენთა დასასვენებელ ქოხებში, საციგაო ტრასაზე, ტრამპლინებზე, წყალსადენზე, სასტუმროში და თვით დაბაშიც ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია.

საქართველოს სპორტკომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს წარმომადგენლებს დარჩენილი სამუშაოები მანამდე არ მოჰგონებიათ, ვიდრე ბაკურიანიდან საგანგაშო სიგნალები არ მიიღეს. ჩვენი მოციგავეები შარშან სწორედ ამ ტრასის აგებას მოუნდნენ, ხეირიანად ველარ ივარჯიშეს, მაგრამ რესპუბლიკის გუნდს ჩათვლა მაინც მისცეს, ორი სპორტსმენი — 17 წლის ჭაბუკები თ. და ვ. ქუმარიტაშვილები ქვეყნის ნაკრებშიც ჩაირიცხნენ.

გუნდმა შარშანდელი შეცდომების გამოსწორება გაზაფხულიდანვე დაიწყო, სპორტსმენები ამ ტრასაზე გორგოლაჭებიანი ციგებით ინტენსიურად ვარჯიშობენ. ახლა ბაკურიანში საქართველოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის სამი ჯგუფი მუშაობს. საციგაო სპორტს 40 ახალგაზრდა ეუფლება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტრასაზე ყველაფერი იდეალურად იყოს. პირიქით, სარბიელი შარშან მხოლოდ სანახევროდ დამთავრდა — 7 ვირაჟი ასაგები დარჩა, წყლის მილები, კაბელები, სპარტაკიადის წინ ფაციფუცით რომ ჩააწყვეს და მერე თოვლმა დაფარა, ახლა მიწის ზევით მოექცა, ტრასის განათების ბოძები წაიქცა, წყლის მიწოდება შეწყდა, ვინაიდან არც რეზერვუარია მოწყობილი. არც ტრანსფორმატორების ჯიხურებია ხეირიანად გადახურული. ერთი სიტყვით საციგაო ტრასაზე, როგორც საქართველოს მოციგავეთა უფროსი მწვრთნელი ა. ქუმარიტაშვილი ამბობს, საქმე თითქმის სანახევროდ გასაკეთებელია.

მწვრთნელის აზრით, წლეულს ამ ტრასას სამი ვირაჟი მაინც თუ არ დაემატა, იგი საერთაშორისო სტანდარტებს ვერ უპასუხებს, ეს კი რესპუბლიკის ნაკრების წვრთნას საგრძნობლად შეუშლის ხელს.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვთქვათ, რომ ნაკრების ნორმალურ ვარჯიშს სათანადო ბინის უქონლობაც ხელს უშლის. ჩვენთვის აუცილებელია ორიოდე ოთახი მაინც, რათა ციგების შესაკეთებელი სახელოსნო, მეთოდური კაბინეტი და საწყობი მოვაწყოთ, — დასძინა შემდეგ ა. ქუმარიტაშვილმა.

ბაკურიანშიც დაცხა. თოვლს ახლა მხოლოდ ცხრაწყაროს მთების ფერდობებზე თუ ნახავთ. ბაკურიანის „დინამოს" სპეციალიზებული სამთოსათხილამურო სპორტული სკოლის მოსწავლეები სიშორეს როდი ერიდებიან. 30 მოწინავე ნორჩი სპორტსმენი მანქანით თითქმის ყოველდღე მიდის იქ და სპეციალურ ვარჯიშს განაგრძობს.

ჩვენი სტუმრობის დღესაც ასე იყო. მწვანეში ჩაფლულ ბაკურიანის ქუჩებში საზაფხულოდ მორთულ ხალხში სამთომოთხილამურის ფორმებში გამოწყობილ, მზით გარუჯულ ბიჭებსა და გოგონებსაც შევხვდებოდით.

ეს ფაქტი მშენებლებს ავალებს დარჩენილ საქმეს დროზე მოჰკიდონ ხელი.

ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენის" წარმომადგენელიც სწორედ იმ დღეს ჩამოვიდა ბაკურიანში.

— ახლახან, ამ ტრესტის მუშაკებმა შარშან დაუმთავრებელი ობიექტებიც ხელახლა შეამოწმეს, მასალის ნაწილიც შემოზიდეს და მალე საქმეს შეუდგებიან. სხვა ორგანიზაციები კი გულგრილობას იჩენენ, — გვითხრა ბაკურიანის სპორტკომბინატის დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ი. ოვანესოვმა.

ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენის ხაზმა მხოლოდ სპარტაკიადის დღეებში იმუშავა, მას შემდეგ კი უმოქმედოდაა, ვინაიდან თავის დროზე აქ ყველაფერი არ გაუკეთებიათ. დარჩენილი სამუშაო წლეულს მეორე კვარტალში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ კვარტალი ილევა, საქმე კი წინ არ წასულა.

შესრულებულ სამუშაოთა ხარისხით ვერც საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტი „საქკომუნრემმშენი" მოიწონებს თავს. სასტუმროს შეკეთებულ და ახლად მიშენებულ ნაწილშიც წყალი ჩადის, ეზოს მოწყობისთვის ხომ ჯერაც არავის უფიქრია და სხვა „წვრილმანი" სამუშაოებიც უამრავია.

მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობა 70-მეტრიან ტრამპლინზეა. იმის გამო, რომ შარშან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტმა ყველა სამუშაოს დამთავრება ვერ მოასწრო, ორიოდე თვის წინ ამ ტრამპლინის დაშვების ბაქნის მარცხენა ნაწილი მეწყერმა ჩამოიტანა და მსაჯთა კოშკურა დანგრევის საფრთხის წინაშე დააყენა.

ამ ობიექტს საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლები და გეოლოგები უკვე სწვევიან. ალბათ თავიანთ სიტყვას იტყვიან და მერე საქმეს მდგომარეობის გამოსწორებისთვის მშენებლებიც შეუდგებიან.

ზამთრის სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში დაისახა დაბის ქუჩების კეთილმოწყობის გეგმაც, მაგრამ მაშინ სამუშაოთა მხოლოდ ნაწილი შესრულდა.

დღეს ცენტრალური ქუჩებიც კი მოუვლელია. ამას იმიტომაც აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ ბაკურიანი შესანიშნავი საზაფხულო კურორტიცაა. მას ზაფხულშიც მრავალი სტუმარი ჰყავს — დამსვენებლებიც და ტურისტებიც.

... წინადღით ეწვიმა. ტურისტებმა გუბეები ხტუნვა-ხტუნვით გადმოიარეს და ავტოსადგურში შემოვიდნენ. რომელიღაცამ იხუმრა:

— ორმოცდაორი წლის სტალინგრადის ქუჩებს მაგონებს.

არა გვგონია, ამ სიტყვების მთქმელს იმდროინდელი სტალინგრადი ენახოს, მაგრამ მისი ხუმრობა ჩვენთვის სასიამოვნო მოსასმენი მაინც არ იყო.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

## მშდ კომპლექსი და მეცნიერება

მშდ კომპლექსის დასანერგად ორი წლის მანძილზე გაწეულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა ახალ ხარისხობრივ საფეხურზე აგვეყვანა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა. იგი დაეხმარა სპორტის როლის ამაღლებას საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში. ეს კომპლექსი ხელს უწყობს ჯანმაგარი, ფიზიკურად ნაწრთობი ახალგაზრდობის აღზრდას, მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებას, ეს კი, თავის მხრივ, შრომისნაყოფიერების ამაღლებას განაპირობებს. ეს თქვა მშდ კომპლექსის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მფრინავმა-კოსმონავტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ლეონოვმა 20 ივნისს მოსკოვში, საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

1978 წელს მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებასა და ჩაბარებაში ჩაება 51 მილიონი ადამიანი, ესე იგი ქვეყნის მოსახლეობის (10-დან 60 წლის ასაკამდე) 30 პროცენტზე მეტი.

კონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ განვლილი ორი წლის მანძილზე მომზადდა 20,4 მილიონზე მეტი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, მათგან 1973 წელს — 14,6 მილიონი. ამავე ხნის მანძილზე შეიქმნა 4,2 ათასი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი და მათი რიცხვი დღეს 215 ათასს აღწევს. ფიზკულტურელთა არმიას 2,5 მილიონი ადამიანი შეემატა. საბჭოთა კავშირში შექმნილია 250 ათასი სასწავლო და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია ხუთ მილიონამდე მოსწავლე, მუშა და მოსამსახურე.

განმტკიცდა სპორტული ბაზა. მარტო შარშან მწყობრში ჩადგა 64 სტადიონი, 3800-ზე მეტი სპორტული დარბაზი, 122 საცურაო აუზი, 21 ათასამდე სპორტული მოედანი, 3 ათასზე მეტი ტირი და თითქმის ათასი სათხილამურო ბაზა. სულ ქვეყნის სპორტულ ბაზებზე საერთო ჯამში დღის განმავლობაში 25 მილიონი ადამიანი მეცადინეობს.

ფიზკულტურული მოძრაობის ასეთი მასშტაბის დროს განსაკუთრებით იზრდება მეცნიერების როლი. კონფერენციაც სწორედ მშდ კომპლექსის დანერგვასთან დაკავშირებით მეცნიერების წინაშე დასახულ ამოცანებს ეძღვნება.

სწავლულები, როგორც კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, ჯერ კიდევ ვალში არიან საბჭოთა ფიზკულტურელთა წინაშე. ლაპარაკია პირველ ყოვლისა მეცადინეობის ფორმის, შინაარსისა და, განსაკუთრებით, მეთოდიკის მეცნიერულ საფუძველზე სრულყოფის შესახებ. საჭიროა დამუშავდეს ფიზკულტურული მზადების სისტემა ყოველი დღისთვის, ყოველი კვირისთვის, ყოველი წლისთვის, ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერ-მუშაკები, სპორტის სპეციალისტები, ექიმები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

(საკდესი).




## ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები

საფრანგეთის ქალაქ ნიცაში XXI საჭადრაკო ოლიმპიადაში გაიმართა კიდევ სამი ტური.

IV ტურში საბჭოთა დიდოსტატები გფრ-ის გუნდს შეხვდნენ. კარპოვმა შეავიწროვა უნციკერის პოზიცია. ამასთან, გერმანელი დიდოსტატი ცაიტნოტში მოხვდა და უკვე უიმედო პოზიციაში მეტოქეს დანებდა.

პფლეგერ — კორჩნოის შეხვედრაში თეთრებმა ვერ შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და მეტოქეები დაზავდნენ.

ძალიან საინტერესო იყო ტალ — ჰეკტის შეხვედრა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მეფე ცენტრში დატოვა და მეტოქეს შეუტია. გერმანელი ოსტატი ჯიუტად იცავდა თავს, პარტია გადადო, მაგრამ დამთავრებისას მაინც დამარცხდა.

გაიმარჯვა კუზმინმაც (შავებით) დიუბალთან. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 3,5:0,5 საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთი — შვეცია 2,5:1,5, აშშ — არგენტინა 2,5:1,5, რუმინეთი — ჰოლანდია 2:2, ფინეთი — ინგლისი 2:2, ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 2:2, ესპანეთი — უელსი 3:1, იუგოსლავია — ფილიპინები 3:1.

V ტურში საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ ჰოლანდიელები თამაშობდნენ. პარტიები მოიგეს დიდოსტატებმა კორჩნოიმ (ტიმანთან) და კუზმინმა (კუიპერსთან). მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა სპასკიმ და პეტროსიანმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. 3:1 — ამ ანგარიშით მოიგეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ფილიპინები — უელსი 2,5:1,5, ბულგარეთი — ინგლისი 3:1, არგენტინა — რუმინეთი 3:1, გფრ — ფინეთი 3:1, უნგრეთი — იუგოსლავია 3:1, აშშ — შვეცია 3,5:0,5, ესპანეთი — ჩეხოსლოვაკია 2,5:1,5.

VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს არგენტინელები—2,5:1,5.

ექვსი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები, რომლებსაც 24 შესაძლებლიდან 19 ქულა აქვთ.

## პარტია გადაიდო

კისლოვოდსკი, 19 ივნისი. დღეს აქ უნდა გამართულიყო ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური მატჩის X პარტია, მაგრამ კოზლოვსკაიას ავადმყოფობის გამო იგი არ შედგა. ეს პარტია 21 ივნისს უნდა შედგეს.

## ჩიბურდანიძე — 4,5 ქულა

ტირასპოლი, 19 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში დამთავრდა ხუთი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

III ტურიდან გადადებულ პარტიაში ვ. როჟლაპამ (რიგა) მოუგო ლ. გოლდინას (ტაშკენტი), ხოლო IV ტურიდან გადადებულ პარტიაში ნ. ალაბაბიანმა (სტეფანაკერტი) — ს. იაკოვლევას (ალმა-ათა). ყაიმით დამთავრდა IV ტურიდან გადადებული პარტიები: ზ. მოსიონჟიკი (კიშინიოვი) — კ. ზვორიკინა (მინსკი) და ხ. კრუსიაუკი (ტალინი) — როჟლაპა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — კრუსიაუკის V ტურიდან გადადებული პარტიის დამთავრებამ. თამაშის განახლების შემდეგ მეტოქეებმა ლაზიერები გაცვალეს. ტაქტიკური დარტყმით მაიამ მეორე პაიკი მოიგო. შემდეგ მან ყველა ფიგურა გაცვალა და 53-ე სვლაზე გაიმარჯვა.

5 ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია ჩიბურდანიძე, რომელსაც 4,5 ქულა აქვს.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 ივნისი. დღეს აქ მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, მე-17 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო" — 11 (ველოსპორტი), 38 (მშვილდოსნობა), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა), 46 (ჰოკეი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

„სპორტლოტო-2" — 11 (ველოსპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 27 (მოტოსპორტი), 30 (ფარიკაობა), 33 (რეგბი).

**საქართველოს პროფსაბჭოში**

# მეტი ყურადღება სტუდენტური სპორტის განვითარებას!

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული მუშაობისა და საფინანსო მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ" თავისი 1973 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ შემოწმების შემდეგ გასული პერიოდში „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში საქმიანობა ერთგვარად გაუმჯობესდა: საზოგადოება 30 ათასამდე წევრს აერთიანებს, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმების ძირითადი მაჩვენებლები შესრულდა — მოამზადეს ოთხის მაგიერ ხუთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 31-ის მაგიერ 35 სპორტის ოსტატი, 363-ის ნაცვლად 527 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. მასობრივი თანრიგების ნორმატივები შეასრულა 6924 კაცმა (გეგმით — 6050). მომზადდა, აგრეთვე, 9369 საზოგადოებრივი მუშაკი და 2925 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

ბურევესტნიკელებმა შარშან ორი მსოფლიოს, ერთი სსრ კავშირისა და ერთი საქართველოს რეკორდი დაამყარეს, ჰყავთ მსოფლიოს, ევროპისა და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონები და პრიზიორები. ეს წარმატებანი იმან განაპირობა, რომ რესპუბლიკური საბჭო უფრო ხშირად და ორგანიზებულად ატარებდა შეჯიბრებებს. „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 15 საერთაშორისო და 34 საკავშირო ტურნირში, თავიანთი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს 46 შეჯიბრებაში. გაუმჯობესდა მუშაობა ცენტრალურ და ბავშვთა სექციებში, გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა, რომელშიც 800 მოზარდი მეცადინეობს.

შემოწმებამ გამოავლინა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებიც. მაგალითად, დაბალია უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე, რის გამოც სპორტკლუბების ნაწილი ვერ ასრულებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებს. სოხუმის, ბათუმის და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში შარშან არც ერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ. თბილისის უნივერსიტეტში ათის მაგიერ ექვსი სპორტის ოსტატი მოამზადეს. თელავის, ბათუმისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში დაბალ დონეზე დგას სასწავლო სპორტული მუშაობა. ამ კოლექტივებისა და თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბებს შარშან არც ერთ სპორტულ ღონისძიებაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლების დირექციები სპორტნაგებობათა ქსელის გაფართოებისთვის ნაკლებად ზრუნავენ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საშველი არ დაადგა ზამთრის აუზის მშენებლობის დამთავრებას. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის, სტუდენტთა ქალაქის, სახელმწიფო კონსერვატორიის სპორტული მოედნები კეთილმოუწყობია.

ყოველივე ამის გამო „ბურევესტნიკში" ჯერ კიდევ დაბალია მძლეოსნების, მოცურავეების, წყალში მხტომელების, მოკრივეებისა და სხვა სახეობათა წარმომადგენლების შედეგები. აღნიშნულ სახეობებში შარშან ერთი სპორტის ოსტატიც კი არ მოუმზადებიათ.

პრეზიდიუმზე ისიც ითქვა, რომ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს დებიტორული დავალიანება, 8700 მანეთი, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ლიკვიდირებული.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ასათიანს ავალებს: დასახოს ღონისძიებები საბჭოს სპორტული კლუბების მასობრივ-ფიზკულტურულ, სასწავლო-სპორტულ, საფინანსო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინოს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სახეობების განვითარებისთვის, ნაკრები გუნდების წევრებს ყველა პირობა შეუქმნას პროფკავშირთა ზამთრის რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის, სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისა და მომავალი ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად, იზრუნოს თბილისის, სოხუმის, ბათუმის, თელავისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტკლუბებში მდგომარეობის გამოსწორებისთვის.



ყირიმი. ტურისტული სეზონი დაიწყო. საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები აწყობენ ექსკურსიებს, ლაშქრობებს მზიური ნახევარკუნძულის ულამაზეს ადგილებში.

მუდამ ხალხმრავლობაა ტურბაზა „ორლინი ზალოტში", რომელიც მთიანი ყირიმის ულამაზეს კუთხეში — ცისფერ ხეობაში მდებარეობს. აქედან ტურიზმის მოყვარულნი ფეხით მიდიან, რათა დაათვალიერონ გამოქვაბულების ქალაქი, გადახედონ ყირიმის პანორამას...

ზოგჯერ, როცა ზედმეტად თამამი ტურისტები საფრთხეში ჩაიგდებენ ხოლმე თავს, მათს დასახმარებლად მზადაა სამთო-მაშველი ხამსახური.

სურათზე: სამთო-მაშველი ჯგუფი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ი. ბლიენკოს ფოტო (საკდეს).

# სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციისთვის

### ტაქტიკა

1. სათამაშო ვარჯიში 3×3 პატარა კარით, რომელიც დადგმულია საჯარიმო მოედნის კუთხისა და გვერდითი ხაზს შუა. საშუალები კომპლექტდება რგოლების მიხედვით, მაგალითად, მარცხენა მცველი, მარცხენა ნახევარმცველი და მარცხენა გარემარბი თამაშობენ მარჯვენა მცველის, მარჯვენა ნახევარმცველისა და მარჯვენა გარემარბის წინააღმდეგ. თამაში შეიძლება კარის უკანაც.

2. სათამაშო ვარჯიში მთელს მოედანზე — 8×8. პატარა კარები იდგმება საჯარიმო მოედნის წინა ხაზებზე.

3. სათამაშო ვარჯიში 4×4 მოედნის 3/4-ზე კარებით. ოთხ შემტევ ფეხბურთელს ჰყავს ოთხი პერსონალური მეურვე, გარდა ამისა, შემტევ ოთხეულს ჰყავს ერთი თავისუფალი მოთამაშე, რომელიც ზურგში მოქმედებს და რომლისთვისაც ბურთის მიწოდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მძიმე სიტუაციაა შექმნილი. ეს უკანასკნელი ვალდებულია ბურთი დაუყოვნებლივ გადასცეს ფეხბურთელს, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ პოზიციაშია. საჯარიმო მოედანთან გასვლისთანავე შემტევებმა კარში უნდა დაარტყან. მცველები იღებენ ბურთს და წამოიწყებენ შეტევას მოწინააღმდეგის კარზე. ასეთ შემთხვევაში შემტევები მცველებად იქცევიან. იგივე ვარჯიში — 2×2, ერთი უკან მოქმედი ფეხბურთელით.

4. იგივე ვარჯიში 5×5, მაგრამ შეტევა და დაცვა ხორციელდება თანაბარი რაოდენობის ფეხბურთელთა მონაწილეობით.

5. სათამაშო ვარჯიში 5×5, 6×6 ოთხ კარში. მოედნის ერთ ნახევარზე ყოველი გუნდი იცავს თავის ორ კარს.

6. თამაში: დაცვა თავდამსხმელთა წინააღმდეგ მოედნის ერთ ნახევარზე. თავდამსხმელებს, თუ შეძლებენ გაიტანონ ბურთი კარში, რომელსაც მეკარე იცავს, ეძლევათ 4 ქულა, მცველებს კი, თუ შეძლებენ ბურთი გადაავილონ ცენტრალურ ხაზს, როცა ხაზიდან მეტრით არიან დაშორებული, ეწერებათ 1 ქულა.

7. იგივე ვარჯიში იმ სხვაობით, რომ მცველები ცდილობენ გაიტანონ ბურთი ცენტრალურ ხაზზე დადგმულ პატარა კარში.

8. სათამაშო ვარჯიში 8×8 კარის აღებით. გუნდები შედგებიან ოთხი მცველისა და ოთხი შემტევისგან. დამცველ მოთამაშეებს უფლება აქვთ ითამაშონ მხოლოდ თავიანთს ნახევარზე, ხოლო შემტევებს — მხოლოდ მოწინააღმდეგის მოედანზე. ბურთის წართმევის შემთხვევაში მცველები ცდილობენ ბურთი გადასცენ თავიანთს შემტევ პარტნიორებს, რომლებიც მოწინააღმდეგის მოედანზე იმყოფებიან და ა. შ.

9. თამაში 11×11. მოედნის ცენტრალურ ნაწილში იქმნება ზონა 30—40 მეტრი სიგანით, სადაც ფეხბურთელს უფლება არა აქვს ბურთს სამჯე მეტად შეეხოს და გადასცეს ამ ზონაში ახლოს მყოფ პარტნიორს (შორს მყოფს შეუძლია გადააწოდოს). ეს შეზღუდვა ფეხბურთელებს აიძულებს სწრაფად გადალახონ მოედნის ცენტრალური ნაწილი და სწრაფად წაიწიონ მოწინააღმდეგის კარისკენ.

10. სათამაშო ვარჯიში მოედნის ერთ ნახევარზე 6×5. ზედმეტი ფეხბურთელი ყოველთვის თამაშობს შემტევ გუნდში. რომელი გუნდის ხუთეულიც დაეუფლება ბურთს, ის იწყებს შეტევას კარზე. თუ შემტევმა ბურთი დაკარგა, მაშინ ბურთი საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ უნდა გაიტანონ.

11. სათამაშო ვარჯიში — 8×8. მოედნის ერთ ნახევარზე თამაშობენ — 5×5, მეორე ნახევარზე — 2×2. კარს იცავენ მეკარეები. ხუთი შემტევი ცდილობს მოუგოს ხუთ მცველს. მათს დასახმარებლად შეიძლება მოვიდეს ფეხბურთელი, რომელიც მოედნის მეორე ნახევარზე თამაშობს. მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს, რომელიც ამ ფეხბურთელს მეურვეობს, არა აქვს უფლება გაჰყვეს მას ცენტრალური ხაზის იქით. მცველები ბურთის ართმევის შემდეგ ცდილობენ ის გადაიყვანონ თავიანთს ორ პარტნიორთან, რომლებიც მოწინააღმდეგის ნახევარზე მოქმედებენ. ორი მცველი კი ცდილობს ხელი შეუშალოს თავდამსხმელებს ბურთის გატანაში. არც ერთ ხუთეულს არა აქვს უფლება ცენტრალური ხაზის იქით გადავიდეს.

12. ორმხრივი თამაში: ერთი შეხებით, ორი შეხებით, თამაში წინ მიმართული ბურთის 3 ან 4 გრძელი გადაცემით საწინააღმდეგო ფლანგზე, თამაში თერთმეტით თორმეტის წინააღმდეგ და ა. შ.

### VII.

### აღმზრდელობითი მუშაობა

რესპუბლიკის პირველობის მონაწილე გუნდებში აღმზრდელობითი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ პირველ ყოვლისა საჭიროა დისციპლინა:

ა) ვარჯიშებზე დროულად გამოცხადება;

ბ) პასუხისმგებლობა მითითებათა შესრულებისთვის;

გ) ამხანაგებთან, მწვრთნელებთან, მსაჯებთან, „მოწინააღმდეგესთან", მაყურებლებთან, პრესის წარმომადგენლებთან და სხვებთან თავაზიანი ქცევა.

ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება, თუ მკაცრად მივუდგებით დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას, მთელი კოლექტივის აქტიური მონაწილეობით და დადებითი მაგალითების გამოყენებით.

### VIII.

### სამედიცინო კონტროლი

რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს არ გააჩნიათ ექიმის საშტატო ერთეული. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთელთა საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას (დისპანსერიზაციას), რასაც სისტემატურად უნდა ატარებდნენ ადგილობრივი სამკურნალო დაწესებულებები. ასეთი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს 4-ჯერ: პირველი — საწვრთნელი ვარჯიშების დაწყებამდე, მეორე — საშეჯიბრებო პერიოდის დაწყებამდე, მესამე — პირველი და მეორე წრეების შუალედში, მეოთხე — სეზონის ბოლოს.

### IX.

### პედაგოგიური კონტროლი

ტესტები — მარტივი სტანდარტული დავალებები — საშუალებას იძლევა თვალყური გადევნოთ ფეხბურთელთა გაწვრთნილობის მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ჩვენი არც ერთი მწვრთნელი არ იყენებს პრაქტიკაში ტესტირებას.

### მეთოდური მითითებანი

მწვრთნელებს ვთავაზობთ ასეთი ტესტების სამ სახეობას (აქედან ორი რეკომენდებულია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სამმართველოს მიერ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისთვის, სადაც შევამცირეთ ნორმატივების მხრივ მოთხოვნები).

**ტესტი I**

**(სისწრაფისთვის, წამებში)**

| | შეფასება 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|---|
| სირბილი 50 მეტრზე ადგილიდან (რეზინის ფეხსაცმლით) | 6,8 | 6,9 | 7,0 | 7,1 | 7,2 |

**ტესტი II**

**(ძალისთვის, მეტრებში)**

| | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|---|
| სამხტომი ადგილიდან | 8,00 | 7,90 | 7,75 | 7,50 | 7,30 |

**ტესტი III**

**შრომისუნარიანობისთვის, ქულათა ჯამი.**

სირბილი 100 მეტრზე. 2-3 წუთის შემდეგ 1000 მეტრზე, 3-4 წუთის შემდეგ — 100 მეტრზე. ქულები ჯამდება ორ 100-მეტრიან მონაკვეთზე ნაჩვენები შედეგისა და 1000 მეტრზე რბენის დროს 100-მეტრიან მონაკვეთზე მიღწეული საშუალო სიჩქარის შეკრებით. მაგალითად, თუ 100 მეტრზე ნაჩვენები დროა 11,9, 1000 მეტრზე — 225 წამი, 100 მეტრზე — 12,1, ქულათა რაოდენობა იქნება ასეთი: 11,9 + 22,5 + 12,1 = 46,5.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შრომისუნარიანობა (ქულები) | 43,1-5 | 44,5-4 | 45,7-3 | 47,4-2 | 49,3-1 |
| ქულები შედგება ასეთი წამებისგან: | | | | | |
| 100 მეტრი — პირველი გარბენი | 12,0 | 12,2 | 12,3 | 12,4 | 12,6 |
| 1000 მეტრი | 190 | 200 | 210 | 225 | 240 |
| 100 მეტრი — მეორე გარბენი | 12,1 | 12,3 | 12,4 | 12,5 | 12,7 |

ტესტებით შემოწმება რეკომენდებულია გუნდებში ყოველთვიურად.

გარდა ამისა, რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოთამაშე გუნდებმა ივნისში უნდა ჩააბარონ ფიზიკური და ტექნიკური მომზადების შესამოწმებელი ნორმატივები.

* * *

იმასთან დაკავშირებით, რომ მეთოდური ლიტერატურა ქართულ ენაზე ნაკლებად გვაქვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და სამმართველოს მიაჩნიათ, რომ ეს მეთოდური მითითებანი, რაც ძირითადად შედგენილია რესპუბლიკური პირველობის მონაწილე გუნდებისთვის, საინტერესო იქნება უფრო ფართო წრეებისთვისაც, რომლებიც ფეხბურთში მეცადინეობენ ან საწვრთნელ ვარჯიშებს ატარებენ, და სპეციალიზებული სკოლებისთვის.

დანართი

### ტექნიკური და ფიზიკური მომზადებულობის ნორმატივები

#### რესპუბლიკის პირველობის I და II ჯგუფების მონაწილე გუნდებისთვის

| | შეფასება ფრიადი (5) | კარგი (4) | დამაკ. (3) |
|---|---|---|---|
| 1. შრომისუნარიანობა | | | |
| 100 მ პირველი გარბენი (წამებში) | 12,0 | 12,2 | 12,3 |
| 1000 მ (წამებში) | 190 | 200 | 210 |
| 100 მ ბოლო გარბენი (წამებში) | 12,1 | 12,3 | 12,4 |
| ქულათა ჩათვლითი ჯამი | 43,1 | 44,5 | 45,7 |
| 2. სამხტომი (მეტრებში) | 8,00 | 7,90 | 7,75 |
| 3. ბურთზე დარტყმა, სიშორეზე (მეტრებში) | 55 | 50 | 45 |
| 4. ბურთის ტარება ჟონგლირებით 30 მეტრზე (წამებში) | 7,2 | 7,9 | 8,7 |
| 5. ბურთის ტარება დგარების შემოვლით (წამებში) | 7,1 | 7,2 | 7,3 |
| 6. დაკიდებულ ბურთზე თავით მიწვდომა (სანტიმეტრებში) | 75 | 70 | 65 |

### ფიზიკური და ტექნიკური მომზადებულობის ნორმატივების ჩაბარების პირობები.

#### შრომისუნარიანობის ნორმატივის ჩაბარება

სირბილი 100 მეტრი — ბუცებით, ტარდება ფეხბურთის მინდორზე; 1000 მეტრი — ნახევარკედებით, მძლეოსნურ ბილიკზე. გარბენებში ერთდროულად მონაწილეობს სამი ფეხბურთელი მაინც. სირბილის დაწყება ალმით ნიშნის მიცემით, დამთავრება — მკერდით ფინიშის ხაზის გადაკვეთით.

სამხტომი. ხტომები სრულდება სიგრძეზე ადგილიდან რეზინის ფეხსაცმლით. სპორტსმენებს ეძლევათ სამი ცდა.

ბურთზე გარტყმა, სიშორეზე. გარტყმა სრულდება უძრავ ბურთზე გამორბენით ნებისმიერი ფეხით და ხერხით. მანძილი იზომება გარტყმის ადგილიდან ბურთის მიწასთან პირველად შეხების ადგილამდე. სპორტსმენებს ეძლევათ 3 ცდა.

ბურთის ტარება ჟონგლირებით. ფეხბურთელებს ბუცები აცვიათ. საჯარიმო მოედნიდან 30 მეტრის მანძილზე ზურგით კარისკენ მდგომ სპორტსმენს ხელით ვუგდებთ ბურთს. მან უნდა მიიღოს ბურთი, მობრუნდეს კარისკენ, არ დაუშვას ბურთი მიწაზე, ჟონგლირებით იაროს საჯარიმო მოედნის ხაზამდე და კარში დაარტყას. ბურთზე თავით შეხება შეიძლება მხოლოდ სამჯერ. თუ ფეხბურთელს ბურთი დაუვარდა, ასეთ შემთხვევაში ცდა არ ჩაითვლება. სპორტსმენს ეძლევა 3 ცდა. დრო განისაზღვრება ბურთზე პირველი შეხებიდან კარში დარტყმამდე.

ბურთის ტარება ოთხი დგარის შემოვლით.

მოედნის სიღრმიდან ბურთის ტარება 35 მეტრზე, ოთხი დგარის შემოვლა და კარში დარტყმა. დგარები იდგმება შემდეგი, თანმიმდევრობით: 1-ელი 10 მეტრის მანძილზე საჯარიმო მოედნის ხაზიდან, დანარჩენები კი 2-2 მეტრის შუალედებით. დრო განისაზღვრება ფეხბურთელის მოძრაობის დაწყებიდან ბურთის მიერ კარის ხაზის გადაკვეთამდე. სპორტსმენს ეძლევა 3 ცდა.

დაკიდებული ბურთის თავით მიწვდომა ნახტომში. სრულდება გამორბენით. ნახტომის სიმაღლე განისაზღვრება დაკიდებული ბურთისა და მოთამაშის სიმაღლეს შორის სხვაობით. სპორტსმენს ეძლევა 3 ცდა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,**

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 108, 109, 114, 117.

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი



WM-74

ხსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირათი" (ალმა-ათა) | 10 | 5 | 4 | 1 | 12—8 | 14 |
| „დინამო" (კიევი) | 10 | 5 | 4 | 1 | 9—6 | 14 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 10 | 5 | 3 | 2 | 20—12 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 16—10 | 13 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 10 | 5 | 1 | 4 | 15—9 | 11 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 2 | 7 | 1 | 7—6 | 11 |
| ცსკა | 10 | 3 | 4 | 3 | 18—12 | 10 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 5 | 0 | 5 | 11—12 | 10 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 10 | 3 | 4 | 3 | 13—15 | 10 |
| „არარატი" (ერევანი) | 10 | 2 | 5 | 3 | 12—12 | 9 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 10 | 3 | 3 | 4 | 16—18 | 9 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 3 | 3 | 4 | 10—14 | 9 |
| „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 10 | 3 | 2 | 5 | 15—19 | 8 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 10 | 3 | 1 | 6 | 10—14 | 7 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 1 | 5 | 4 | 5—11 | 7 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 10 | 1 | 3 | 6 | 8—19 | 5 |

## I ლიგა

19 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ დონის როსტოვში ადგილობრივ არმიელებთან. მეტოქეებმა ორ-ორი გოლი გაიტანეს და ქულები გაინაწილეს.

სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კუზბასი" (კემეროვო) — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „დინამო" (მინსკი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 4:2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:2, „კუბანი" (კრასნოდარი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:2, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 14 | 8 | 3 | 3 | 18—9 | 19 |
| „კუზბასი" (კემეროვო) | 14 | 8 | 2 | 4 | 18—16 | 18 |
| სკა (დონის როსტოვი) | 13 | 7 | 3 | 3 | 20—11 | 17 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 13 | 7 | 2 | 4 | 20—10 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 14 | 6 | 4 | 4 | 15—11 | 16 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 14 | 6 | 4 | 4 | 18—17 | 16 |
| „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 13 | 6 | 3 | 4 | 22—17 | 15 |
| „დინამო" (მინსკი) | 13 | 6 | 3 | 4 | 20—16 | 15 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 13 | 4 | 6 | 3 | 10—7 | 14 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14—12 | 14 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 6 | 2 | 6 | 12—16 | 14 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 13 | 5 | 3 | 5 | 16—15 | 13 |
| „პამირი" (დუშანბე) | 14 | 4 | 5 | 5 | 13—13 | 13 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 14 | 5 | 3 | 6 | 14—19 | 13 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 13 | 5 | 2 | 6 | 19—22 | 12 |
| „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) | 13 | 3 | 5 | 5 | 12—12 | 11 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 13 | 2 | 5 | 6 | 16—24 | 9 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 14 | 2 | 5 | 7 | 13—21 | 9 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 13 | 3 | 2 | 8 | 12—22 | 8 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 13 | 1 | 4 | 8 | 11—23 | 6 |

## II ლიგა
## III ზონა

20 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები:

### ფრე დაძაბულ ბრძოლაში

ზუგდიდის „დინამოს" მეტად არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა გვაფიქრებინებდა, რომ ეს გუნდი შინ ლანჩხუთის „გურიასთან" მეტი მონდომებით ითამაშებდა და ქულას არ დაკარგავდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. მართალია, თავდაპირველად ორივე გუნდი უღიმღამოდ თამაშობდა, მაგრამ შემდეგ სტუმრები, რომლებმაც იგრძნეს, რომ „დინამო" საბრძოლველად არც იმ დღეს იყო განწყობილი, გააქტიურდნენ. 30-ე წუთზე ძიძიგურმა ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ უპირატესობას დიდხანს ისევ „გურია" ფლობდა და მატჩის 52-ე წუთზე იმავე ძიძიგურმა მასპინძელთა კარში მეორე გოლი გაიტანა. სულ მალე კი ნაჭყებია — ძიძიგურის კომბინაციის შემდეგ ტროიანმა „დინამოს" კარი მესამედ აიღო — 3:0.

ამ ანგარიშმა სტუმრები დაამშვიდა. სამაგიეროდ, ზუგდიდელებმა, რომლებმაც აშკარად იგრძნეს მარცხი, თამაში გარდაქმნეს და გააქტიურდნენ. დარჩენილ დროში მათ გადელიას, ქომეთიანისა და კვერიშვილის მიერ გატანილი გოლების წყალობით ქულა გადაარჩინეს — 3:3.

ზ. ალშიბაია.

ზუგდიდი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „კოლხიდა" (ფოთი) 2:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (ბათუმი) 0:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „დილა" (გორი) 1:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 3:1, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „ურალანი" (ელისტა) 0.1, „დინამო" (ვოლოგდა) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:0.

## ჰაიტი — პოლონეთი 0:7

IV ჯგუფის ლიდერმა — პოლონეთმა კიდევ ერთი მატჩი მოიგო და ფაქტიურად ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. ლიდერს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გასჭირვებია ჰაიტის აშკარად სუსტი გუნდის დამარცხება. ამ შეხვედრაში დებიუტანტი შეცვლილი შემადგენლობით თამაშობდა. წინადღით დოპინგის კომისიამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა მცველ ჟოზეფს (იგი დისკვალიფიცირებულია ჩემპიონატის ბოლომდე) და ჰაიტელთა მწვრთნელი იძულებული გახდა გადაჯგუფება მოეხდინა შემადგენლობაში.

მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ჰაიტის ნაკრებს წარმატების შანსი, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. პოლონელები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დაწინაურდნენ 5 ბურთით. ინიციატივას ისინი შესვენების შემდეგაც ფლობდნენ, თუმცა თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ. სამი გოლი ამ შეხვედრაში ზაბჟეს „ბურნიკის" თავდამსხმელმა ანჯეი შარმახმა გაიტანა, ორი კი გრჟეგოჟ ლატომ.

## იტალია — არგენტინა 1:1

ფინალური ტურნირის მეორე საგზურისთვის IV ჯგუფში იტალიისა და არგენტინის ფეხბურთელები იბრძოდნენ. ამ უაღრესად პრინციპულ ორთაბრძოლაში არგენტინელებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე ბურთი არგენტინელებმა გაიტანეს: ჯერ თავი გამოიჩინა რენე ჰაუსმანმა, რომელმაც აიღო იტალიელთა კარი, მერე კი გამოცდილმა მცველმა რობერტ პერფიუმომ (იგი ბრაზილიის კლუბ „კრუზეიროში" თამაშობს) ბურთი საკუთარ კარში „ჩაჭრა".

არგენტინის ფეხბურთელები ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს ჰაიტის გუნდთან ატარებენ. ასე რომ, მათ წინაშე არც ისე რთული პრობლემა დგას, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამთავრდება პოლონეთისა და იტალიის მატჩი. თუ იტალიელებმა ფრეს მიაღწიეს, არგენტინის ეროვნულ გუნდს შეუძლია შინ დაბრუნდეს. იგი ვეღარ მოხვდება ფინალში.

## ჰოლანდია — შვეცია 0:0

ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა I ტურის მატჩების შემდეგ შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდა შვიდი ჰოლანდიელი და ორი მასპინძელი (ყველაზე კურიოზული ისაა, რომ ჟურნალისტებმა დარჩენილი ორი ადგილი ზაირისა და ჰაიტის წარმომადგენლებს მიაკუთვნეს). ჰოლანდიელთა ასეთი წარმატება არაა შემთხვევითი, ვინაიდან მათ დიდებული შთაბეჭდილება მოახდინეს პირველ მატჩში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება ყოველი ტურის შემდეგ, სხვა თუ არაფერი, უაზრობაა, ვინაიდან არც ერთი გუნდი არ ატარებს ერთნაირად ორ მატჩს. ჰოლანდიისა და შვეციის გუნდების შეხვედრაში ბევრი საინტერესო მომენტი იყო. განსაკუთრებით ლამაზად თამაშობდნენ ჰოლანდიელები. ისინი სულ უმნიშვნელო მომენტსაც კი კარში დასარტყმელად იყენებენ. მაგრამ ვერც მათ და ვერც შვედებმა ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს.

ბრძოლის სიმძაფრეზე მეტყველებს სამსაჯო ოქმი: ოთხმა მოთამაშემ მიიღო გაფრთხილება, მათ შორის, შვედებმა — ანდერსონმა, ნორდკვისტმა, გრანმა და ჰოლანდიელმა რეპმა.

შვეციის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ერიქსონმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „ერთ დროს დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გფრ-ისა და იტალიის გუნდები შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ახლა კი მჯერა, რომ ერთ-ერთი ფინალისტი აუცილებლად ჰოლანდია იქნება".

## ურუგვაი — ბულგარეთი 1:1

ამ მატჩში უპირატესობა ბულგარელთა მხარეს იყო, მაგრამ თავდამსხმელები უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. და მაინც, პირველ წარმატებას სწორედ ბულგარელებმა მიაღწიეს ბონევის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

ბულგარელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მათ თამაშის ცენტრიდან დაწყება მოუხდათ. საპასუხო ბურთი გაიტანა ურუგვაელმა პავონიმ.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2—0 | 3 |
| შვეცია | 2 | 0 | 2 | 0 | 0—0 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| ურუგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 1—3 | 1 |

IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 10—2 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | 3 |
| არგენტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 3—4 | 1 |
| ჰაიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1—10 | 0 |

## სნაიპერები

ჯგუფურ ტურნირებში 11 ტურის შემდეგ გატანილია 41 გოლი. აი, როგორ გამოიყურება სნაიპერთა სია:

**ლატო** (პოლონეთი) — 4
**ა. შარმახი** (პოლონეთი) — 4
**ბაევიჩი** (იუგოსლავია) — 3
**რეპი** (ჰოლანდია) — 2

თითო ბურთი გაიტანეს: ბრაიტნერმა, ოვერატმა, კულმანმა, მიულერმა (ყველა — გფრ), შტრაიხმა, ჰოფმანმა (ორივე — გდრ), ლორიმერმა, ჯორდანმა (ორივე — შოტლანდია), სენიანმა (ჰაიტი), რივერამ, ბენეტიმ, ანასტაზიმ (ყველა — იტალია), ერედიამ, ბაბინგტონმა, ჰაუსმანმა (სამივე — არგენტინა), აჰუმადამ (ჩილი), ჯაიჩმა, სურიაკმა, კატალინსკიმ, ბოგიჩევიჩმა, ომლაკმა, პეტკოვიჩმა (ყველა — იუგოსლავია), ბონევმა (ბულგარეთი), პავონიმ (ურუგვაი) ორი ბურთი მცველებმა საკუთარ კარში გაიტანეს: ავსტრალიელმა კურანმა (გდრ-ის ფეხბურთელებთან შეხვედრის დროს) და არგენტინელმა პერფიუმომ (იტალიელებთან მატჩში).

**შენიშვნა:** სნაიპერთა სიაში არ არის შეტანილი ორი პოლონელი ფეხბურთელის გვარი, რომლებმაც ჰაიტელებთან შეხვედრაში თითო გოლი გაიტანეს.

## დღეს და ხვალ...

ჩატარდება ჯგუფური ტურნირების ბოლო მატჩები. დღეს ერთმანეთს ხვდებიან:

**ჩილი — ავსტრალია** (დასავლეთ ბერლინში)
**გფრ — გდრ** (ჰამბურგში)
**ბრაზილია — ზაირი** (გელზენკირხენში)
**იუგოსლავია — შოტლანდია** (ფრანკფურტში)

23 ივნისის კალენდარი კი ასეთია:

**ჰოლანდია — ბულგარეთი** (დორტმუნდში)
**ურუგვაი — შვეცია** (დიუსელდორფში)
**ჰაიტი — არგენტინა** (მიუნხენში)
**იტალია—პოლონეთი** (შტუტგარტში).

## ჭიდაობა...

თბილისის ფალავანთა კლუბში დაიწყო II ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. სტარტზე წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები. ა. აფრიამაშვილი (68 კგ) შეხვდა ირანელ ჰ. მოურადის. ძალები ამ ორთაბრძოლაში აშკარად უთანაბრო იყო. აფრიამაშვილმა მეტოქეს 15 ქულა აართვა და მხოლოდ 1 დაუთმო.

მ. ჰავჰანიძემ (62 კგ) ქულებით დაამარცხა მეორე ირანელი მოჭიდავე ჰ. ქურქიანი. დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ე. გოგლიჩიძემ (90 კგ). პირველ წრეში მან სძლია ბულგარელ ი. ხრისტოვს.

დაძაბული იყო თანამემამულეების ჯ. მეგრელიშვილისა (62 კგ) და თ. წიწკალაშვილის შეხვედრა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა გამოცდილმა მეგრელიშვილმა.

რამდენიმე შეხვედრაში მსაჯებმა პასიური ბრძოლისთვის მოხსნეს მოჭიდავეები. ასეთი ბედი ეწიათ, კერძოდ დ. ბაქრაძეს, შ. გიგოლაშვილსა და ი. წიკლაურს.

შეჯიბრება გრძელდება.

## ქუთაისელთა და სოხუმელთა უპირატესობით

ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკური სკოლის პირველობა კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, სოხუმის, გორის, ბათუმის, წყალტუბოს, რუსთავისა და ჭიათურის გუნდები.

ვაჟებში გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისელებმა (მწვრთნელი ს. თორთლაძე). მათ ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს. I-I ადგილი წილად ხვდათ სოხუმის, III — ბათუმის კალათბურთელებს.

დაუმარცხებლად განვლო მთელი ტურნირი სოხუმის ქალთა გუნდმაც. იგი სკოლის ჩემპიონი გახდა. II—IV ადგილები გაინაწილეს გორის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდებმა.

ლ. ფაჩუაშვილი.

## რაიონულ სპარტაკიადები

### თელავი

ჩატარდა რაიონის სკოლების პიონერთა გუნდების შეჯიბრება შაშში. გარდამავალი თასი მოიპოვეს სოფელ ყარაჯალის პიონერებმა.

* * *

ჩატარდა შეჯიბრება „მხიარული სტარტები", რომლის პროგრამაშიც სპორტის 10 სახეობა შედიოდა. სარბიელზე გამოდიოდნენ 1960-63 წლებში დაბადებული მოსწავლეები. ბრძოლაში თელავის 8 სკოლის წარმომადგენლები ჩაებნენ. თითოეულ გუნდში 5 ვაჟი და 5 გოგონა იყო. შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, მოიგო თელავის მე-3 სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. დეკანოზიშვილი) გუნდმა.

ზ. ელიოზიშვილი.

### ახმეტა

რაიონის მოზარდთა გუნდურ პირველობაში 15 კოლექტივი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სოფ. მატნის საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა. II ადგილზე გავიდა ამავე სკოლის მეორე გუნდი, III — პანკისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ბ. ხოხობაშვილი, ქალთა შორის — ს. სიმონიშვილი (ორივე — მატნის საშუალო სკოლა).

* * *

მატნის საშუალო სკოლის ხელბურთელმა გოგონებმა, რომლებმაც მანამდე რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, პირველობა არც ზონალურ შეხვედრებში დათმეს. ამჯერად მათ დაამარცხეს გურჯაანისა (16:0) და ლაგოდეხის (15:13) გუნდები.

ო. ხულაშვილი,
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## გივი ნიკურაძე — გამარჯვებულ ეკიპაჟში

გუშინ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტიდან შეგვატყობინეს, რომ გდრ-ში გამართულ აკადემიურ ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატაში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტი გ. ნიკურაძეც იყო, რვაადგილიანით რბოლაში პირველობა მოიპოვა.

# სამგზის ჩემპიონები

**(1970 წ. მეხიკო. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი რუდი გლიოკნერი, გდრ)**

## ბრაზილია — იტალია 4:1

რიგით მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა მექსიკამ ითავა. ევროპისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებს შორის არაოფიციალურ შეჯიბრებათა ანგარიში მანამდე საყაიმო იყო — 4:4. ფეხბურთის რომელი სკოლა დაწინაურდებოდა მექსიკაში?

წინასწარ ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ერთნი ეჭვის თვალით უყურებდნენ ევროპელთა შესაძლებლობებს და სამხრეთამერიკელებს აყენებდნენ წინ, მეორენი სუბიექტურად მსჯელობდნენ და მხოლოდ თავიანთ სურვილებს გამოხატავდნენ, ხოლო გარკვეული ნაწილი შინაური საქმეებით იყო დაკავებული. მათ კონტინენტების ბედ-იღბალი არც აინტერესებდათ...

აი, ზოგიერთი წინასწარი ვარაუდი:

ჰ. შიონი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი) — „არა ვარ დარწმუნებული, რომ ევროპული ფეხბურთი მექსიკაში გაბატონებულ მდგომარეობაში იქნება, თუმცა პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტები ინგლისი, ბრაზილია და იტალია არიან და ამათგან ორი სწორედ ევროპის წარმომადგენელია. მე ვლაპარაკობ არა ჩემპიონატის არითმეტიკაზე, არამედ ტენდენციებზე".

დ. ერკოვიჩი (ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი) — „მე ევროპის გულშემატკივარი ვარ. ეს — უპირველეს ყოვლისა".

მ. ზაგალო (ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი) — „ჩემთვის მთავარია არ მოვტყუვდე შემადგენლობაში და ყველა ჯანმრთელად იყოს. დანარჩენისთვის აღელვება არა ღირს".

მსოფლიო ჩემპიონატისთვის ყველა მონაწილე მალულად, განსაკუთრებით საიდუმლოდ ემზადებოდა. ბრაზილიისა და ინგლისის გუნდებმაც კი მიუვალი ციხესიმაგრეები ააგეს კორესპონდენტებისგან (მათ შორის თავისიანებისგანაც), გულშემატკივრებისა და „ჯაშუშებისგან" თავის დასაცავად. არასოდეს არ ყოფილა ასე ნაყოფიერი დეზინფორმაცია და დეზორიენტაცია. საწვრთნელი ვარჯიშის ერთი სეანსი ეწყობოდა მაყურებლებისთვის, ხოლო მეორე (ნამდვილი) — ჩაკეტილ კარს უკან. უკანასკნელ დღემდე უცნობი იყო ნაკრებთა ძირითადი შემადგენლობებიც...

თითქოს ღმერთმა ინება, რომ 1970 წლის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დამდგარიყვნენ ბრაზილიისა (სამხრეთ ამერიკა) და იტალიის (ევროპა) ნაკრები გუნდები. თუ ჩემპიონატის დაწყებამდე პროგნოზები მეტად მორიდებული და ორაზროვანი იყო, ფინალური მატჩის წინ სამხრეთამერიკული ფეხბურთის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარებოდა. ზოგიერთს, მაგალითად, მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ ბრაზილიელთაგან ვინ გაიტანდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საიუბილეო, მე-100 გოლს (99-ე გოლი ნახევარფინალურ შეხვედრაში გაიტანა რიველინომ). შესაძლებლობა იმისა, რომ იტალიელთა კარში გოლი არ გავიდოდა, თითქმის გამორიცხული იყო.

გვადალახარიდან მეხიკოში ბრაზილიელებს ათასობით გულშემატკივარი ჩაჰყვა. პელე, ევერალდო და კლოდოალდო მსუბუქად დაშავებულნი იყვნენ, მაგრამ გუნდის ექიმმა ტოლედომ ყველა დააიმედა — იტალიელებთან შეხვედრისთვის სამივე კარგად იქნებაო. ჩვეულებრივ თავმდაბალმა და სიტყვაძუნწმა მარიო ზაგალომ საკმაოდ გაბედულად განაცხადა: „ჩვენი ახლანდელი გუნდი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე განდიდების 1958 და 1962 წლებში. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონობის მესამედ მოპოვებაში იტალიელები ხელს ვერ შეგვიშლიან. პელე შვეციაში ნახევრად ბავშვი იყო, ახლა კი მოწიფული ვაჟკაცია, რომელსაც საერთოდ უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენს წინსვლაში".

იტალიელებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ფინალური მატჩისთვის მგზავრობა არ დასჭირვებიათ. ისინი გფრ-ის გუნდთან ნახევარფინალური მატჩის წინ ტოლუკიდან ჩავიდნენ მეხიკოში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიელებს ჯერ კიდევ ეტყობოდათ გერმანელებთან გადატანილი 120-წუთიანი, დამქანცველი ბრძოლის კვალი. მათი მწვრთნელი ფერუჩიო ვალკარეჯი პროგნოზებში უფრო ფრთხილობდა: „პირადად მე ბრაზილიელთა თამაში არ მინახავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეხბურთის სხვადასხვა სკოლას ვეკუთვნით".

ფინალური მატჩის მთავარ მსაჯად დაინიშნა რუდი გლიოკნერი (გდრ).

რუდი გლიოკნერი საინტერესოდ გადმოგვცემს გადამწყვეტი მატჩის ამბებს:

„ბედი არ მწყალობდა: იმ სამ მატჩში, რომლებშიც ფინალურ შეხვედრამდე ვიმსაჯე, სამად სამი გოლი გავიდა. სხვათა შორის, სამივე გოლი ერთ მატჩში (ბელგია — სალვადორი) გაიტანეს და გამოდის, რომ ორ შეხვედრაში „უსაქმოდ" ვიყავი მოედანზე. მთელ იმედებს ფინალზე ვამყარებდი...

ბრაზილიელთა ტრიუმფი დაიწყო გვადალახარის სტადიონ „ხალისკოზე", სადაც მათ პირველი გამარჯვება მოიპოვეს (4:1) ჩეხოსლოვაკიელებთან, და ბრწყინვალედ დაგვირგვინდა მეხიკოს „აცტეკაზე" — აქ, მექსიკის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში 115.500 მაყურებლის თვალწინ ბრაზილიელებმა იმავე ანგარიშით დამაჯერებლად დაამარცხეს იტალიელები. ამით მათ დაამთავრეს 40-წლიანი ბრძოლა ოქროს ქალღმერთ ნიკესთვის, მიიღეს იგი მესამედ და სამუდამოდ. ნიკეს ერა დამთავრდა. ამ დღიდან იგი ბრაზილიის სპორტული მუზეუმის იშვიათ ექსპონატად იქცა.

... თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე ტრიბუნები უკვე ნახევრად სავსე იყო. ცა მოიღუშა, ჟინჟღლავდა კიდეც, მაგრამ სტადიონზე მაინც საზეიმო განწყობილება სუფევდა. ერთი შეხედვით, ასეთი ამინდი ხელსაყრელი იყო ევროპელი ფინალისტებისთვის, რადგან ბრაზილიელები შინ სველ მინდორზე თურმე საერთოდ არ თამაშობენ, მაგრამ ეს „თეორია" მცდარი აღმოჩნდა.

როგორც კი გუნდები მოედანზე გამოვიდნენ მოთელვის ჩასატარებლად, აშკარად გამოჩნდა, თუ ვინ იყო ფავორიტი. ფოტორეპორტიორები ბრაზილიელ სპორტსმენებს შემოეხვივნენ და ვარჯიშს აღარ აცდიდნენ. იტალიელებმა ეს პროცედურა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩაატარეს.

„სკუადრა აძურამ" კენჭისყრა წააგო და ამიტომ თამაშიც მან დაიწყო. მას შემდეგ, რაც იტალიელებმა შეცდარებით იოლი გამარჯვება მოიპოვეს ნახევარფინალში გერმანელებზე (მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა), არ მეგონა თუ მატჩის დასაწყისშივე ასე ანერვიულდებოდნენ. ბერტინიმ, რომელსაც პელე ჰყავდა „ჩაბარებული", უმალვე აგემა მას სველ მინდორზე კოტრიალი. იგივე განმეორდა ორი წუთის შემდეგ. მალე ასეთივე ბედი ეწია ჟაირზინიოსაც. ეს იყო არა გააზრებული, მზაკვრული, უხეში მოქმედება, რამდენადაც ევროპის გუნდებისთვის დამახასიათებელი მკაცრი თამაში. მე ამას ყველაფერს ნათლად ვხედავდი და მხოლოდ ჩვეულებრივი ჯარიმებით შემოვიფარგლე.

მე-17 წუთზე ტოსტაომ გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი რიველინოს გადასცა. მან არ დააყოვნა და მაღალი ბურთი „დაჰკიდა" იტალიელთა საჯარიმო მოედანზე. მართალია, ბურთზე წინ გამოსულ მეკარე ალბერტოზის მოძრაობა მხედველობიდან გამომრჩა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იტალიელთა კარს საფრთხე ემუქრებოდა. მართლაც, პელემ ყველას დაასწრო, მათ შორის წინ გამოსულ ალბერტოზისაც, და თავით შესანიშნავად დაარტყა ბურთი ცარიელ კარში — 1:0.

ასე რომ, ბრაზილიელთაგან მსოფლიო ჩემპიონატებში საიუბილეო, მეასე გოლი „ფეხბურთის მეფემ" გაიტანა.

წარმატების შემდეგ — და ეს პირველი შემთხვევა არ იყო — ზაგალოს გუნდი ცოტა მოეშვა, რასაც შესაფერისი სასჯელიც მოჰყვა. კლოდოალდომ არაზუსტად მიაწოდა ბურთი გვერდით ხაზისკენ და ბრიტომ ვერ მოასწრო მისი მიღება. იტალიელი თავდამსხმელები მყისვე იქ გაჩნდნენ. მეკარე ფელიქსი წინ გამოვიდა და საკმაოდ კორექტული და ელვისებური შეხლა-შემოხლის შედეგად რივა და ბონინსენია მარტონი აღმოჩნდნენ ცარიელი კარის წინ. ბურთის ბადეში მოთავსება არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა — 1:1.

იტალიელთა წარმატებამ გონს მოიყვანა და გამოაფხიზლა ბრაზილიელები. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე პელე კვლავ „აფეთქდა" და თითქმის იმავე ვითარებაში გაიტანა ბურთი ალბერტოზის კარში. მაგრამ მე ეს გოლი არ ჩამითვლია, ვინაიდან თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო. ყოველ შემთხვევაში, გასახდელში საათი მაინც შევამოწმე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ გადაწყვეტილების სისწორეში.

„აცტეკა" მზემ გაანათა. ბრაზილიელებმა მთელი ძალით შეუტიეს. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ 45 წუთს ბრძოლა მხოლოდ ფორმალურად გაგრძელდა. ალბათ ასევე ფორმალური იყო მინდორზე ჩემი ყოფნაც...

მატჩის დამთავრებას 4 წუთი უკლდა. წინ ბრაზილიელები იყვნენ — 4:1. ყვითელ-მწვანე მაისურებსა და ლურჯ ტრუსებში გამოწყობილი ფეხბურთელები ლაღად ათამაშებდნენ ბურთს და მოუთმენლად ელოდნენ ჩემი საბოლოო სასტვენის ხმას. მოულოდნელად ბურთი მაყურებელთა შორის აღმოჩნდა და, პელეს თავკაცობით ბრაზილიელთა ხვეწნა-მუდარა რომ არა, შეიძლება არც კი დაბრუნებოდა მინდორს. ამ დროს ყავის ქვეყნიდან ჩამოსული გულშემატკივრები უკვე მზად იყვნენ ზეიმისთვის და „აცტეკას" ტრიბუნებზე ისევე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, როგორც მშობლიურ „მარაკანაზე". დოლის გუგუნი, კლაკსონების გამაყრუებელი ხმაური, სიმღერები, შეძახილები — „ბრაზილ, ბრაზილ!", პეტარდების აფეთქების ხმა — ეს იყო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტი, შესავალი იმ მრავალფეროვანი ზეიმისა, რომლის მოახლოებაც უკვე აშკარად იგრძნობოდა.

მივეცი თუ არა თამაშის დამთავრების ნიშანი, მოედანზე ყოველი მხრიდან გადმოცვივდნენ მაყურებლები და გავხდი ისეთი სცენების მოწმე, რაც გულახდილად უნდა ვაღიარო, ევროპაში არ მენახა. ალტაცებული ბრაზილიელი გულშემატკივრები თავს დაესხნენ სპორტსმენებს, თანამდებობის პირთ, ფოტორეპორტიორებს და გაოგნებული მაყურებლის თვალწინ ყველაფერი ეს ფანტასტიკურ კარნავალად გადაიქცა.

ბრაზილიელ ფეხბურთელებს თანდათანობით შემოახიეს და გახადეს არა მარტო მაისურები და ბუცები, არამედ ტრუსებიც (!) კი. ჩემთან ახლოს სწორედ ფელიქსის ტრუსისთვის იყო გამართული ბრძოლა და მასში თუ არ ვცდები, 12 კაცი მონაწილეობდა. პროტესტებს არაფრად აგდებდნენ. პოლიცია უძლური იყო. გამარჯვებულები ხან ტიროდნენ, ხან ხელებს ზეცისკენ იშვერდნენ და გული მისდიოდათ. სტადიონი გრგვინავდა. კონფეტები ისევ და ისევ ცვიოდა ტრიბუნებიდან, ხოლო ჰაერში ტრიალებდა ჰელიკოპტერი, რომელიც ყველაფერ ამას ზევიდან წვიმასავით აყრიდა ნაირფერ ქაღალდებს.

... სიხარულის ეს გიჟური კარნავალი თანდათან მიწყნარდა, როდესაც მინდორზე გამოვიდნენ ცერემონიალის დანარჩენი მონაწილენი ამ რთული, მაგრამ მშვენიერი ჩემპიონატის დამთავრების აღსანიშნავად. მეცხრე ჩემპიონატის 16 ფინალისტი ჯერ ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყო. შემდეგ კი გაემართა მოედნის ცენტრისკენ და გამარჯვებულისთვის ქალღმერთ ნიკეს ქანდაკების უკანასკნელად გადაცემას ისეთი შნო და ლაზათი მისცა, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას არ ახსოვს.

მექსიკის პრეზიდენტმა გუსტავო დიას ორდასმა ბრაზილიელთა გუნდის კაპიტანს კარლოს ალბერტოს ოქროს ქანდაკება გადასცა. კაპიტანს შეუერთდა უკვე ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი მთელი გუნდი და ოვაციების თანხლებით, რაც მხოლოდ გამარჯვებულებს ეკუთვნოდათ, სტადიონზე საპატიო წრე გააკეთა. მაგრამ ზეიმი ამით არ დამთავრებულა. იგი გასცდა „აცტეკას" სტადიონს, მოედო მეხიკოს ქუჩებს და, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, დილამდე გაგრძელდა"...

# „თავისთვის" მორბენალი

20 ივნისს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სპორტულ სარბიელზე დაიწყო ტრადიციული მძლეოსნური შეჯიბრება „პრავდის" პრიზზე. უხუცესმა საბჭოთა მსაჯმა-სტარტერმა ნ. ტომასმა ნიშანი მისცა 100 მეტრზე ფინალური გარბენის მონაწილე ქალებს. გავიდა 11 წამზე ცოტა მეტი (11,80) და ცნობილი გახდა პირველი გამარჯვებულიც — ლენინგრადელი მ. სიდოროვა. დროს აღნიშნავდა ელექტრონული ტაიმერი: სამ საუკეთესოს ერთმანეთს რაღაც წამის მეასედები აშორებდა.

„სპორტის დედოფლის რაინდთა" მეშვიდე ტურნირში 1200 საბჭოთა სპორტსმენის გარდა ჩაებნენ ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, გფრ-იდან, მექსიკიდან, კუბიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და შვეციიდან ჩამოსული სტუმრები. მასპინძლებიდან სარბიელზე გამოვიდა თითქმის ყველა უძლიერესი, ვინაიდან ეს იყო შესარჩევი შეჯიბრება სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩის წინ, რომელიც 5-6 ივლისს უნდა ჩატარდეს დერჰემში (ჩრდილოეთ კაროლინა).

შეიძლება ითქვას, რომ 20 ივნისის საღამოს ყველაზე საინტერესო იყო მორბენალ ქალთა შეჯიბრება 3000 მეტრზე — ახალ დისტანციაზე, რომელზეც ევროპის ჩემპიონის ტიტული ქალთა შორის პირველად შემოდგომაზე გათამაშდება რომში. ლიდერმა — მსოფლიო რეკორდსმენმა, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, კრასნოდარელმა ლ. ბრაგინამ მთელი 100 მეტრით გაუსწრო სხვებს. ასე გარბოდნენ: ბრაგინა — „თავისთვის", დანარჩენები — კარგა მოშორებით. კონკურენცია უფრო სერიოზული რომ ყოფილიყო, ბრაგინას შეიძლებოდა განეახლებინა თავისი მსოფლიო რეკორდი — 8.53,0. ისე კი მისი მაჩვენებელი 9.06,6 იყო. ეს სეზონის საუკეთესო შედეგია...

სიმაღლეზე ხტომის სექტორში მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს ოდესელმა თ. გალკამ და ვიტებსკელმა ტ. შლიახტომ. გაიმარჯვა პირველმა — 185 სმ. სამაგიეროდ, მისმა მეტოქემ ბელორუსიის რეკორდი დაამყარა — 182 სმ. ორივემ შეასრულა ნორმატივი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრებ გუნდში მოხვედრაზე პრეტენზიის უფლებას იძლევა. სხვათა შორის, ეს ნორმატივები მონაწილეთათვის მთავარი ორიენტირია.

იყო სხვა „სიურპრიზებიც": კიეველი ე. არჟანოვი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 800 მეტრზე რბენაში, 1500 მეტრზე შეჯიბრების ფინალში ვერ მოხვდა. 200 მეტრზე ფინალურ გარბენში მსუბუქი ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბორზოვი.

**ბ. ბუხოვცევი.**
**(საკდესის კორ.).**

# ახალი ამბები-74

● **ლენინგრადი**, 20 ივნისი. ნევისპირა ქალაქში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ასპარეზობა. წარმატება წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც მოიხვეჭეს 8 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ე. იუდინმა, ბ. საგეევმა, ხ. რომერომ (კუბა), ნ. ბუტისიაკმა (რუმინეთი), ა. ბოტოშმა (უნგრეთი), ვ. ჩერნიშოვმა, ა. ჟურავლიოვმა, ა. კუზნეცოვმა, გ. ტოლმაჩოვმა, ვ. მირონიუკმა და ვ. ულიანიჩმა.

● **ჩერნოვცი**, 20 ივნისი. აქ დაიწყო სოფლის სპორტსმენთა II საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა პირველობა, რომელშიც 15 მოკავშირე რესპუბლიკის გუნდები მონაწილეობენ. შეჯიბრების პირველ დღეს ესტონეთის „იიუდმა" მშრალი ანგარიშით სძლია საქართველოს „კოლმეურნეს" — 5:0, ასეთივე ანგარიშით ლატვიის „კარპამ" მოუგო ყაზახეთის „ყაირათს", რსფსრ-ს „უროჟაიმ" — ტაჯიკეთის „ხოსილოტს". მეორე ტურშიც დამარცხდნენ საქართველოს წარმომადგენლები, ამჯერად „ვარპასთან" — 0,5:4,5. ამ ტურის ცენტრალური მატჩი იყო უკრაინისა და ესტონეთის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვა ესტონეთის ნაკრებმა — 3:2.

● **ლონდონი**, 20 ივნისი. ინგლისის დედაქალაქის „კრისტალ-პალასის" სტადიონზე გაიმართა მასპინძლებისა და გდრ-ის მძლეოსანთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა, რომლებმაც ცამეტი სახეობიდან თერთმეტში წარმატებას მიაღწიეს. ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის რ. შტეშერის დრო 100 და 200 მეტრზე რბენაში — 11,4 და 23,2, მსოფლიო რეკორდსმენ რ. ფუქსის შედეგი შუბის ტყორცნაში — 65,58 მ. რ. ვიტჩასმა 189 სმ სიმაღლე დაძლია. მატჩის საბოლოო ანგარიშია 90:44 სტუმრების სასარგებლოდ.

● **ოსლო**, 20 ივნისი. აქ დამთავრდა ჩრდილოეთის ქვეყნების ძალოსანთა ტრადიციული ჩემპიონატი. შეჯიბრება აღინიშნა ფინელ ძალოსანთა უპირატესობით, რომელთაც ხუთი პირველი ადგილი მოიხვეჭეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: კონტინენმა — 195 კგ (82,5+112,5), ზამან-ზადეხმა (ორივე — ფინეთი) — 215 (95+120), ნორბაკმა — 242,5 (105+137,5), მეგიმ (ორივე — შვეცია) — 257,5 (117,5+140), კინუნენმა (ფინეთი) — 302,5 (135+167,5), იენსენმა (ნორვეგია) — 330 (150+180), ბეტენბორგმა (შვეცია) — 355 (152,5+202,5), სირკიამ — 342,5 (152,5+190), ლაჰდენრანტამ (ორივე — ფინეთი) — 360 (170+190).

# მეორე და მესამე ადგილებზე

ტალინის ღია პირველობა აფროსნობაში ბალტიის ზღვის რეგატის თავისებური კარი იყო. ვინც აქ კარგად იასპარეზებდა, მას დიდ სტარტზე გამოსვლის უფლება ეძლეოდა. საქართველოს „განთიადის" აფროსნებმა ეს უფლება მოიპოვეს.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან ყველაზე კარგად მაინც სოხუმელები გამოვიდნენ, კატამარან „ტორნადოთი" ზ. ახუბამ (მატროსი ა. სტრატილოვი) II ადგილი დაისაკუთრა. მას მხოლოდ ოდესელმა ო. ჩიჟოვმა აჯობა.

„470"-ის კლასში ზ. ხუხუას ი. სტრიჟანოვთან ერთად მესამე შედეგი ჰქონდა. გაიმარჯვა არმიელმა ვ. იგნატენკომ.

„ფინის" კლასში თბილისელი გ. ბიგანიშვილის ნავმა V ადგილი დაიკავა.

პრიზიორები ათი ცდიდან შვიდი საუკეთესო შედეგის მიხედვით ვლინდებოდნენ. ასპარეზობაში 24 გუნდის 161 ნავი მონაწილეობდა.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. ასკ-ს სტადიონი. **22 ივნისი.** ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). დასაწყისი 12 ს. **23 ივნისი** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). 17 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **23 ივნისი.** „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული). 18 ს.

ИНДЕКС 86448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04637